

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულება

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი:

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი = ფიქსირებული
- განვადების ლიმიტის მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი მინიმალური გადასახადის შემთხვევაში = **[რიცხვი] %**
- განვადების ლიმიტის მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მინიმალური გადასახადის შემთხვევაში = **[რიცხვი] %**

განვადების ლიმიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ლიმიტის გააქტიურების დღეს კლიენტმა სრულად გახარჯა/ათვისა საკრედიტო ლიმიტი.

განვადების ლიმიტის გააქტიურებისას - რეკომენდირებული გადასახადის გადახდის შემთხვევაში:

- წლიური საპროცენტო განაკვეთი = **0 %**.
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = **0 %**.

განვადების ლიმიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ლიმიტის გააქტიურების დღეს კლიენტმა პარტნიორ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ისარგებლა წლიური საპროცენტო განაკვეთის 0%-იანი გადანაწილების სერვისით.

იმ დაშვებით, რომ კლიენტმა პარტნიორ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში საკრედიტო ლიმიტის გააქტიურების დღეს აირჩია რეკომენდირებული გადასახადის გადახდის სერვისი, ათვისებული თანხა გადანაწილდება მის მიერ არჩეულ ვადაზე, ყოველთვიურად მოხდება მხოლოდ რეკომენდირებული შენატანის განხორციელება, ათვისებული ლიმიტი დაიფარება არჩეულ ვადაზე. ათვისებული განვადების ლიმიტის გრაფიკები, კერძოდ: ყოველთვიური შენატანის ოდენობა, დაფარვის ვადები, საპროცენტო განაკვეთი კლიენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება დისტანციური არხის: <https://mycredo.ge/> საშუალებით. საპროგნოზო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება:

- წლიური საპროცენტო განაკვეთი = 0 %- 50% მდე
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = 0 %- 50% მდე

ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური რეკომენდირებული შენატანები განისაზღვრება ათვისებული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

- ვადის ბოლო შენატანი განისაზღვრება ათვისებული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად.
- ყოველთვიური მინიმალური შენატანი მაქსიმალურ ლიმიტზე = [რიცხვი]
- ვადის ბოლოს მინიმალური შენატანი მაქსიმალურ ლიმიტზე = [რიცხვი]

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- განვადების ლიმიტის მთლიანი თანხის ოდენობა = [რიცხვი] ლარი
- კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა ლიმიტით სარგებლობის შემთხვევაში მინიმალური შენატანებით დაფარვისას - [რიცხვი]
- საკრედიტო ლიმიტის ათვისების/მოქმედების ვადა = 12 (თვე), არაუმეტეს კლიენტის 71 წლის ასაკამდე.
- ათვისებული განვადების ლიმიტის გადახდის ვადა = მაქსიმუმ 48 (ორმოცდარვა) თვე.
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა = ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
- თითოეულ ათვისებულ საკრედიტო თანხაზე:
- კლიენტის საკუთარი სახსრებით კრედიტის თანხ(ებ)ის სრული ან ნაწილობრივი წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში:
- წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან და შეადგენს 2%-ს, თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა - 1%-ს, თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა - 0.5%-ს, ხოლო 0-დან 6 თვემდე ვადის შემთხვევაში - 0%-ს.
- სხვა საფინანსო ორგანიზაცი(ებ)იდან კრედიტის თანხ(ებ)ის სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში:
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს თანხის გადახდის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი - 0%-ს; (ფიზიკური პირის შემთხვევაში)
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს გადახდის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0,5%-ს, თუ კლიენტის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში არ აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, 0%-ს თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი, ხოლო თუ კლიენტის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, წინსწრებით დაფარვის საკომისიოს გადახდა განხორციელდება საკუთარი სახსრებით კრედიტის დაფარვისათვის განსაზღვრული წესითა და ოდენობით. (იურიდიული პირის შემთხვევაში)
- ვადაგადაცილების ჯარიმა = ათვისებული კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხის 0.27 %-ი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (პირგასამტეხლოს დარიცხვა მოხდება მაქსიმუმ 275 დღის განმავლობაში), არაუმეტეს ნარჩენი საკრედიტო ლიმიტის თანხის (ძირითადი თანხის) 0,27%-ისა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
- ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე, ამასთან, ხელშეკრულებით განსაზღვრული განვადების ლიმიტის გაუქმების/შემცირების/შეჩერების შემთხვევაში მომხმარებლის ინფორმირება მოხდება აღნიშნული გარემოებ(ებ)ის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო, განვადების ლიმიტის მოქმედების/ათვისების ვადის გაგრძელების/ცვლილების შემთხვევაში მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ვადის გასვლამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე, წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხელშეკრულების პირობების ცვლილება, რომელიც ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, არ საჭიროებს კლიენტის თანხმობას ან/და მოწონებას ან/და რაიმე ფორმით კლიენტის ინფორმირებას.

- „მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში“. ხელშეკრულებაზე უარის თქმის დეტალური წესები და პირობები იხილეთ საკრედიტო ხელშეკრულებაში.
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
- გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულება N [---]

სერვის ცენტრი : [---]თარიღი: [---]

1. ხელშეკრულების მხარეები

ბანკი	
სახელწოდება:	ს.ს.კრედო ბანკი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	205232238
იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. #27
ფაქტობრივი მისამართი:	ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. #27
წარმომადგენელი (სახელი და გვარი):	[სახელი/გვარი]
თანამდებობა/სტატუსი:	[თანამდებობა]
ტელეფონის ნომერი:	0322424242
რეგისტრაციის/ლიცენზირების ფორმა:	კომერციული ბანკი
საზედამხედველო ორგანო:	საქართველოს ეროვნული ბანკი
ელექტრონული ფოსტის მისამართი:	info@credo.ge

- საკრედიტო ხელშეკრულება იდება ბანკსა და კლიენტს შორის დადებული, საკრედიტო ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული საკრედიტო ლიმიტის გენერალურ ხელშეკრულების (შემდგომში - გენერალური ხელშეკრულება) საფუძველზე და მასში მითითებული თანხის ფარგლებში.
- თუ უშუალოდ საკრედიტო ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული, საკრედიტო ხელშეკრულების მიზნებისთვის გენერალური ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტერმინებს ექნებათ იგივე მნიშვნელობა, რაც გააჩნიათ გენერალურ ხელშეკრულებაში.
- გენერალური ხელშეკრულების პირობები სრულად ვრცელდება საკრედიტო ხელშეკრულებაზე. ამასთან, მათ შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი კლიენტის სახელზე დაუშვებს განვადების ლიმიტს ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული პირობებით, ხოლო კლიენტი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წეს(ებ)ისა და პირობების დაცვით ნებისმიერ დროს მოითხოვოს განვადების ლიმიტის ფარგლებში კრედიტის თანხის ათვისება, რომელიც არ აღემატება განვადების ლიმიტს და ვალდებულია ბანკის წინაშე ათვისებული კრედიტის თანხა, მათ შორის ნებისმიერი დავალიანება დაფაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ვადებში.

2.2. კლიენტის მიერ განვადების ლიმიტის ფარგლებში კრედიტის თანხის ათვისება განხორციელდება ერთჯერადად ან მრავალჯერადად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ვადებში.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

2.3. ხელშეკრულების ხელმოწერა არ გულისხმობს ბანკის მიერ კლიენტისათვის განვადების ლიმიტის უპირობო დაშვებას და ლიმიტის ფაქტობრივ დაშვებამდე (თუ უშუალოდ ხელშეკრულებით ან/და გენერალური ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული) ბანკი უფლებამოსილია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უარი განუცხადოს კლიენტს განვადების ლიმიტით ან მისი ნაწილით სარგებლობაზე/ათვისებაზე (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მხარეები თანხმდებიან, რომ თუ კლიენტის რომელიმე ანგარიშზე იარსებებს რაიმე სახის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა (მათ შორის ინკასო ან/და ყადაღა) ან/და კლიენტს ექნება რაიმე სახის ვალდებულება ბანკის წინაშე, ბანკი უფლებამოსილი იქნება: ა) არ დაუშვას განვადების ლიმიტი; ან/და ბ) დაბლოკოს კლიენტის ნებისმიერ ანგარიშზე არსებული თანხა (მათ შორის ლიმიტის დაშვების შედეგად წარმოშობილი ხელმისაწვდომი თანხა); ან/და გ) კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩამოჭრას მის ნებისმიერ ანგარიშზე არსებული თანხა (მათ შორის ლიმიტის დაშვების შედეგად წარმოშობილი ხელმისაწვდომი თანხა) და მიმართოს ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების შესასრულებლად (სრულად ან ნაწილობრივ). ამასთან, თუ ანგარიშზე არსებული თანხა და კლიენტის მიმართ არსებული ბანკის მოთხოვნა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კონვერტაცია ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტირებული თანხა მიმართოს კლიენტის ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად.

3. განვადების ლიმიტის ძირითადი პირობები

• გენერალური ხელშეკრულების:	
ნომერი:	[---]
დადების თარიღი:	[---]

3.1. საპროცენტო განაკვეთი:

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი = ფიქსირებული
- განვადების ლიმიტის მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი მინიმალური გადასახადის შემთხვევაში = [რიცხვი]%
- განვადების ლიმიტის მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მინიმალური გადასახადის შემთხვევაში = [რიცხვი] %

განვადების ლიმიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ლიმიტის გააქტიურების დღეს კლიენტმა სრულად გახარჯა/ათვისა საკრედიტო ლიმიტი.

განვადების ლიმიტის გააქტიურებისას - რეკომენდირებული გადასახადის გადახდის შემთხვევაში:

- წლიური საპროცენტო განაკვეთი = 0 %.
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = 0 %.

განვადების ლიმიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ლიმიტის გააქტიურების დღეს კლიენტმა პარტნიორ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ისარგებლა წლიური საპროცენტო განაკვეთის 0%-იანი გადანაწილების სერვისით.

იმ დაშვებით, რომ კლიენტმა პარტნიორ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში საკრედიტო ლიმიტის გააქტიურების დღეს აირჩია რეკომენდირებული გადასახადის გადახდის სერვისი, ათვისებული თანხა გადანაწილდება მის მიერ არჩეულ ვადაზე, ყოველთვიურად მოხდება მხოლოდ რეკომენდირებული შენატანის განხორციელება, ათვისებული ლიმიტი დაიფარება არჩეულ ვადაზე. ათვისებული განვადების ლიმიტის გრაფიკები, კერძოდ: ყოველთვიური შენატანის ოდენობა, დაფარვის ვადები, საპროცენტო განაკვეთი კლიენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება დისტანციური არხის: <https://mycredo.ge/> საშუალებით. საპროგნოზო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება:

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

- წლიური საპროცენტო განაკვეთი = 0 %- 50% მდე
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = 0 %- 50% მდე

3.2. ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური რეკომენდირებული შენატანები განისაზღვრება ათვისებული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად.
- ვადის ბოლო შენატანი განისაზღვრება ათვისებული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად.
- ყოველთვიური მინიმალური შენატანი მაქსიმალურ ლიმიტზე = [რიცხვი]
- ვადის ბოლოს მინიმალური შენატანი მაქსიმალურ ლიმიტზე = [რიცხვი]

3.3. სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- განვადების ლიმიტის მთლიანი თანხის ოდენობა = [რიცხვი] ლარი
- კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა ლიმიტით სარგებლობის შემთხვევაში მინიმალური შენატანებით დაფარვისას - [რიცხვი]
- საკრედიტო ლიმიტის ათვისების/მოქმედების ვადა = 12 (თვე), არაუმეტეს კლიენტის 71 წლის ასაკამდე.
- ათვისებული განვადების ლიმიტის გადახდის ვადა: მაქსიმუმ 48 (ორმოცდარვა) თვე.
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა = ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
- თითოეულ ათვისებულ საკრედიტო თანხაზე:
- კლიენტის საკუთარი სახსრებით კრედიტის თანხ(ებ)ის სრული ან ნაწილობრივი წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში:
- წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან და შეადგენს 2%-ს, თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა - 1%-ს, თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა - 0.5%-ს, ხოლო 0-დან 6 თვემდე ვადის შემთხვევაში - 0%-ს.
- საკრედიტო თანხაზე სხვა საფინანსო ორგანიზაცი(ებ)იდან კრედიტის თანხ(ებ)ის სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში:
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს თანხის გადახდის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი - 0%-ს; (ფიზიკური პირის შემთხვევაში)
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს გადახდის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ს, თუ კლიენტის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში არ აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, 0%-ს თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი, ხოლო თუ კლიენტის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, წინსწრებით დაფარვის საკომისიოს გადახდა განხორციელდება საკუთარი სახსრებით კრედიტის დაფარვისათვის განსაზღვრული წესითა და ოდენობით. (იურიდიული პირის შემთხვევაში)
- ვადაგადაცილების ჯარიმა = თვისებული კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხის 0.27 %-ი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (პირგასამტეხლოს დარიცხვა მოხდება მაქსიმუმ 275 დღის განმავლობაში), არაუმეტეს ნარჩენი საკრედიტო ლიმიტის თანხის (ძირითადი თანხის) 0.27%-ისა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
- ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე, ამასთან, ხელშეკრულებით განსაზღვრული განვადების ლიმიტის გაუქმების/შემცირების/შეჩერების შემთხვევაში მომხმარებლის ინფორმირება მოხდება აღნიშნული გარემოებ(ებ)ის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო, განვადების ლიმიტის მოქმედების/ათვისების ვადის გაგრძელების/ცვლილების შემთხვევაში მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ვადის გასვლამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე,

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხელშეკრულების პირობების ცვლილება, რომელიც ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, არ საჭიროებს კლიენტის თანხმობას ან/და მოწონებას ან/და რაიმე ფორმით კლიენტის ინფორმირებას.

- საშეღავათო პერიოდით სარგებლობის შემთხვევაში, კრედიტის ვადაზე ადრე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვისას/რეფინანსირებისას, პირველ რიგში დაიფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული მომსახურების საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი, მათ შორის გადახდის დღემდე საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბოლოს გადასახდელი ძირი. ამასთან, კლიენტის ანგარიშზე საბანკო კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის განთავსებით, ავტომატურად არ მოხდება საბანკო კრედიტის წინსწრებით დაფარვა, თუ ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს ხელშეკრულება ან/და არ მოითხოვს კლიენტი.
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
- გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

3.4. ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები:

- „მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში“. [ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ ვრცელდება ისეთ კრედიტებზე, რომლებიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით ან/და „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური გირავნობით. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება აგრეთვე არ ვრცელდება ისეთ კრედიტებზე, რომლებიც უზრუნველყოფილია არამატერიალური ქონებრივი სიკეთით/მომრავი ქონებით, გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან/და ძვირფასი ლითონებით ან/და ძვირფასი ქვებით უზრუნველყოფილი კრედიტებისა].
- **საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, **კლიენტის** მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ განცხადების (წერილობითი, სტანდარტული წერილობითი) დაფიქსირება შესაძლებელია **ბანკის** სერვისცენტრ(ებ)ში ან/და დისტანციური არხში <https://mycredo.ge/>, რომლითაც უზრუნველყო **საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმება. სტანდარტული წერილობითი ფორმა ხელმისაწვდომია **ბანკის** ნებისმიერ სერვისცენტრში. იმ შემთხვევაში, თუ მეთოთხმეტე კალენდარული დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, განცხადების წარდგენა შესაძლებელია **ბანკის** სერვისცენტრ(ებ)ში ან/და **ბანკის** სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით მომდევნო სამუშაო დღეს.
- **საკრედიტო ხელშეკრულებაზე** უარის თქმის უფლების ვადის ათვლა იწყება: ა) **საკრედიტო ხელშეკრულების** დადების მომენტიდან; ბ) **საკრედიტო ხელშეკრულების** მიღების მომენტიდან, თუ **კლიენტს** ხელშეკრულება ჩაბარდება **ხელშეკრულების** გაფორმების შემდეგ.
- **ბანკისთვის საკრედიტო ხელშეკრულებაზე** უარის თქმის შესახებ შეტყობინების დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, **კლიენტმა** ბანკს უნდა გადაუხადოს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა; კრედიტით სარგებლობის პერიოდში ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე გრაფიკით დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი, ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე დარიცხული ჯარიმა; შეწყვეტის დღემდე გრაფიკით დარიცხული სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელები, შეწყვეტის დღემდე დარიცხული სესხის მონიტორინგის ჯამური საკომისიო. **ბანკს** უფლება არ აქვს **კლიენტისაგან** მიიღოს რაიმე სახის სხვა კომპენსაცია, გარდა ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა ან/და სანოტარო ხარჯისა.
- **კლიენტის** ანგარიშზე საბანკო კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის განთავსებით, ავტომატურად არ მოხდება საბანკო კრედიტის დაფარვა, თუ **კლიენტი** არ მოითხოვს დაფარვას წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული წესით. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** სერვისცენტრში წერილობითი ფორმით ან/და **ბანკის** სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით, ზეპირი ფორმით შეატყობინოს **ბანკს** საბანკო კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის საბანკო ანგარიშზე განთავსების შესახებ, რის შემდეგაც **ბანკი**

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

ვალდებულია დაფაროს საბანკო კრედიტი დაუყოვნებლივ, თუ საბანკო კრედიტის დაფარვის მოთხოვნა მიღებულია სამუშაო დღეს; ბ) მომდევნო სამუშაო დღეს, თუ საბანკო კრედიტის დაფარვის მოთხოვნა მიღებულია არასამუშაო დღეს.

- **კლიენტის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებაზე** უარის თქმის შემთხვევაში, ასევე უქმდება მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულება/გარიგება/შეთანხმება რომელიც დაიდო **ბანკთან** მესამე მხარესთან **ბანკსა** და მესამე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, **ბანკმა** როგორც **კლიენტს** ასევე, მესამე მხარეს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დაკავშირებული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.
- **კლიენტის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებაზე** უარის თქმის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გადასახდელების და ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ.
- იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი**, უარის თქმის შესახებ შეტყობინების დაფიქსირებიდან/გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა არ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელების გადახდას, **კლიენტი** კარგავს უარის თქმის უფლებას და საბანკო კრედიტის გადახდა გაგრძელდება **საკრედიტო ხელშეკრულებაზე** თანდართული გრაფიკის შესაბამისად.
- **კლიენტი** ვალდებულია, მიუხედავად **საკრედიტო ხელშეკრულებაზე** უარის თქმის დაფიქსირებისა, ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, გადაიხადოს **საკრედიტო ხელშეკრულებაზე** თანდართული გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიური ვადამოსული გადასახდელი, მათ შორის პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- **საკრედიტო ხელშეკრულებაზე** უარის თქმის პუნქტები არ ეხება კრედიტს, ოვერდრაფტს, საკრედიტო ბარათს, რომლის მთლიანი თანხა აღემატება 1 000 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, ამასთან, იურიდიულ პირზე/დაკავშირებულ საწარმოში შემავალ პირებზე გაცემულ კრედიტებს, თუ ამ პირზე/პირებზე **ბანკში** უკვე გაცემული და აქტიური კრედიტების ჯამური მოცულობა აღემატება 1 000 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში;

3.5. საბანკო კრედიტის მიზნობრიობა: ბანკის მიერ დამტკიცებული განვადების ლიმიტის ფარგლებში, დადგენილი ვადისა და წლიური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, **კლიენტი** უფლებამოსილია განახორციელოს პროდუქტის/მომსახურების შეძენა პარტნიორ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში. გამყიდველი სავაჭრო ობიექტების ჩამონათვალი განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: <https://bit.ly/3Rks4yR> . **კლიენტი** აცხადებს, რომ დეტალურად გაეცნო და ეთანხმება ჩამონათვალს.

3.6. განვადების ლიმიტის ფარგლებში განვადების ლიმიტის გააქტიურება, კერძოდ კრედიტის თანხის ათვისება/გაცემა მოხდება დისტანციური არხის MyCredo-ს მეშვეობით, ასევე, **ბანკის** ნებისმიერ სერვის-ცენტრში/პარტნიორ სავაჭრო ობიექტებში.

3.7 განვადების ლიმიტის თანხის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხის დაფარვა შესაძლებელია რეკომენდირებული ან/და მინიმალური გადახდ(ებ)ის მეშვეობით, რომელსაც **კლიენტი** თავად ირჩევს **განვადების ლიმიტის** ათვისების მომენტში. რეკომენდირებული გადახდ(ებ)ის არჩევის შემთხვევაში, პარტნიორ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში დადგენილი საპროცენტო განაკვეთების მიხედვით **კლიენტი** თავად ირჩევს ათვისებული თანხის დაფარვის ვადას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ათვისებული ლიმიტის თანხაზე გადასახდელი საპროცენტო განაკვეთის ოდენობა. **კლიენტმა** შესაძლებელია აირჩიოს საშელავათო პერიოდით სარგებლობის უფლება.

3.8. კლიენტის მიერ ათვისებული თანხის, ტრანშის გაცემის, ყოველთვიური შენატანის ოდენობა, შენატანების საერთო რაოდენობა, დაფარვის ვადები, საპროცენტო განაკვეთის ოდენობა მითითებული იქნება რეკომენდირებული და მინიმალური გადახდ(ებ)ის გრაფიკებში, რომელიც **კლიენტისათვის** ხელმისაწვდომი იქნება დისტანციური არხის <https://mycredo.ge/> საშუალებით ან/და სერვისცენტრში ვიზიტით.

3.9. ბანკი უფლებამოსილია არ გასცეს **განვადების ლიმიტის** ფარგლებში კრედიტის თანხები, იმ შემთხვევაში თუ დარღვეულია **ხელშეკრულებით** დადგენილი პირობები ან/და **კლიენტი** ვადაგადაცილებაშია ნებისმიერ ათვისებული კრედიტის თანხაზე ან/და **კლიენტის** მიერ არ ხდება **განვადების ლიმიტით** სარგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

3.10. კლიენტი უფლებამოსილია, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ცალმხრივად მოითხოვოს შეთანხმებული განვადების ლიმიტის მაქსიმალური მოცულობის შემცირება.

3.11. კლიენტი განვადების ლიმიტიდან ათვისებულ თითოეულ კრედიტის თანხაზე თავად ირჩევს მისთვის სასურველ გადახდის რიცხვს;

3.12. ათვისებული განვადების ლიმიტის გადახდა მოხდება ათვისებულ თანხაზე შედგენილი გრაფიკ(ებ)ის მიხედვით. გრაფიკი შესაძლოა ითვალისწინებდეს სხვა ტიპის გადასახადებსაც, მათ შორის საშელავათო პერიოდს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ყოველი თანხის ათვისების შემდეგ შედგება ახალი რეკომენდირებული და მინიმალური გადასახადების გადახდის გრაფიკ(ებ)ი, თუმცა კლიენტის მიერ აღნიშნულ გრაფიკზე ხელმოწერის არარსებობა არ შეიძლება გახდეს უარის თქმის საფუძველი კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ამასთან, თუ ხელშეკრულებით ან/და მხარეთა დამატებითი შეთანხმებით სხვა პირობა არ იქნება განსაზღვრული, ყოველი ათვისებული საკრედიტო თანხის ყოველთვიური გადახდის სასურველ თარიღს თავად აირჩევს კლიენტი.

3.13. რეკომენდირებული გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს გრაფიკში მითითებულ თარიღებში, სამუშაო დღის 24:00 საათამდე. გადახდის დღეს ანგარიშზე არსებული თანხიდან ბანკის მიერ ავტომატურად პირველ რიგში ჩამოიჭრება რეკომენდირებული გადასახადი და მიემართება ათვისებული კრედიტის თანხების/დავალიანების დასაფარად, ხოლო თუ ანგარიშზე არსებული თანხა ნაკლებია რეკომენდირებულ გადასახადზე ან/და კლიენტმა თანხა არ განათავსა წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ სამუშაო დროის ჩათვლით, ჩამოიჭრება გრაფიკით განსაზღვრული მინიმალური გადასახადი, რის შემდეგაც კლიენტი კარგავს უფლებას ისარგებლოს რეკომენდირებული გადასახადით და ავტომატურად გაუქმდებიან მინიმალური შენატანის გრაფიკი. მინიმალური გადასახადების გადახდა უნდა მოხდეს გრაფიკში მითითებულ თარიღებში, სამუშაო დღის 24:00 საათამდე. თუ გრაფიკში მითითებული გადახდის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, გადახდა უნდა მოხდეს მომდევნო სამუშაო დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში არასამუშაო დღეს ნებისმიერ დროს განხორციელებული გადახდები აღირიცხება მომდევნო სამუშაო დღეს. ამ პუნქტის მიზნებისთვის არასამუშაო დღეებში იგულისხმება შაბათი, კვირა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები.

3.15. იმ შემთხვევაში თუ ანგარიშზე არსებული თანხა, არ არის საკმარისი მინიმალური გადასახადის დაფარვისათვის, ათვისებულ კრედიტის თანხას დაერიცხება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული წეს(ებ)ისა და პირობ(ებ)ის დაცვით.

3.16. თუ განვადების ლიმიტის ფარგლებში კლიენტმა მრავალჯერადად აითვისა კრედიტის თანხა და გადახდის დღეს კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხა არ იქნება საკმარისი ვადამოსული რეკომენდირებული გადასახადის დაფარვისათვის, მინიმალური დაფარვის გრაფიკზე ავტომატურად გადავა ის ათვისებული კრედიტის თანხა, რომელზეც ვერ განხორციელდა რეკომენდირებული შენატანის დაფარვა. თუ ანგარიშზე არსებული თანხა არ ჰყოფნის ერთი ათვისებული კრედიტის თანხის რეკომენდირებულ გადასახადს და მეორე ათვისებული კრედიტის თანხის მინიმალური შენატანის დაფარვას, ასეთ შემთხვევაში ორივე კრედიტის თანხაზე მოხდება მინიმალური შენატანის დაფარვა და კლიენტი ავტომატურად გადავა მინიმალური შენატანით დაფარვის გრაფიკ(ებ)ზე;

3.17. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება განვადების ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თითოეული კრედიტის თანხის მინიმალური გადასახადის დაფარვის ვადაგადაცილების შემთხვევაში.

3.18. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს, შეაჩეროს, შეამციროს ან/და გაზარდოს განვადების ლიმიტის ათვისება ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები/ლიმიტები.

3.19. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, გააგრძელოს/შეცვალოს ათვისებელი განვადების ლიმიტის მოქმედების/ათვისების ვადა ყოველ ჯერზე 12 (თორმეტი) თვის ვადით.

3.20. კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ასათვისებელი განვადების ლიმიტის გაუქმება ბანკის სერვის-ცენტრში ვიზიტით ან/და დისტანციური არხის <https://mycredo.ge/> მეშვეობით.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

3.21. ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, დააწესოს განვადების ლიმიტით სარგებლობის შეღავათები ან/და შეზღუდვები, კლიენტის დამატებითი თანხმობის ან/და ინფორმირების გარეშე.

4. განვადების ლიმიტის ხელშეკრულების არსებითი პირობები

4.1. კლიენტის მიერ, ხელშეკრულებაში ან/და გენერალურ ხელშეკრულებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის ფარგლებშიც ფორმდება ხელშეკრულება მითითებული რაიმე სახის საკონტაქტო მონაცემების შეცვლისას, **ბანკისათვის** შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** ამ ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ყველა სახის ზიანი.

4.2. კლიენტის მიერ ხელშეკრულების რაიმე პირობის დარღვევის გამო, მათ შორის, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნობრიობის, **ბანკთან** გაფორმებული ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების რაიმე პირობის დარღვევის გამო ან/და კლიენტის გადახდისუნარიანობის გაუარესების გამო (მათ შორის თუ კლიენტის ანგარიშზე დარეგისტრირდება ინკასო ან/და ყადაღა) საფრთხე შეექმნება მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს კლიენტს ათვისებული განვადების ლიმიტის ძირითადი თანხის, დარიცხული/დასარიცხი პროცენტის და ნებისმიერი გადასახდელის (მათ შორის პირგასამტეხლოს და გრაფიკით გათვალისწინებული სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელის) სრულად ან ნაწილობრივ, დაუყოვნებლივ დაფარვა/ვადაზე ადრე გადახდა.

4.3. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ კლიენტი დაარღვევს ხელშეკრულების რაიმე პირობას, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მიზნობრიობას ან/და კლიენტი დაარღვევს **ბანკთან** გაფორმებულ ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების პირობას. **ბანკის** მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, სრულად გადაიხადოს დარჩენილი ძირითადი თანხა და გრაფიკით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებელი და სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელები, ხოლო პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდისათვის.

4.4. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს **მხარეთა** შეთანხმებით. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, სრულად გადაიხადოს დარჩენილი ძირითადი თანხა და სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელები, ხოლო და გრაფიკით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდისათვის.

4.5. თუ ხელშეკრულებიდან/გენერალური ხელშეკრულებიდან გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე სახის უზრუნველყოფის საშუალებით (მათ შორის იპოთეკით, გირავნობით ან/და თავდებობით) **ბანკის** მოთხოვნა კლიენტის მიმართ არ ითვლება დაკმაყოფილებულად, თუ უზრუნველყოფის საშუალების ნებისმიერი ფორმით რეალიზაციის (მათ შორის **ბანკის** საკუთრებაში გადასვლისას) შედეგად ამონაგები თანხა არ არის საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარად. გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, თუ საბანკო კრედიტი გაცემულია „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით განსაზღვრული გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ გენერალური ხელშეკრულების/საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით გადახდევინების მიქცევით (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით), გარდა ამავე კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, კერძოდ, უზრუნველყოფის საგნის განზრახ განადგურების/გადამალვის შემთხვევებისა.

4.6. **დაზღვევის პირობები:** დაზღვევის გარეშე

4.7. **მხარეები** ადასტურებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების **მხარეს** წარმოადგენს ერთზე მეტი კლიენტი:

4.7.1. თითოეული ასეთი კლიენტი წარმოადგენს **ბანკის** მიმართ სოლიდარულ მოვალეს.

4.7.2. **ბანკი** უფლებამოსილია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ (ერთ ან რამდენიმე) კლიენტს.

4.7.3. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო კრედიტის თანხა ჩარიცხოს ერთი ან რამდენიმე კლიენტის ანგარიშზე, საკუთარი შეხედულებისამებრ (ასევე, თუ საბანკო კრედიტის თანხის ჩარიცხვა ხდება 1-ზე მეტი კლიენტის

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

ანგარიშზე, ჩასარიცხი თანხის პროპორციასაც ცალმხრივად განსაზღვრავს ბანკი), თუ უშუალოდ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.

4.7.4. თითოეული კლიენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს დანარჩენი კლიენტები ბანკთან ურთიერთობაში. კლიენტი/უზრუნველყოფილი საგნის მესაკუთრე/თავდები უფლებამოსილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დაფაროს საბანკო კრედიტი ვადაზე ადრე (როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ). კლიენტი უფლებამოსილია დანარჩენი კლიენტების სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულების პირობების ცვლილების დოკუმენტს (მათ შორის ხელშეკრულების თავსართს, გადახდის გრაფიკს და ა.შ.), შეცვალოს გადახდის თარიღი და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, როგორც სოლიდარულმა მოვალემ.

4.8. კლიენტი ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო ხელშეკრულების დანართს, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და რომელიც სტანდარტული პირობების სახით „საკრედიტო ხელშეკრულების სტანდარტული პირობები“ მოცემულია ბანკის ვებ-გვერდზე: <https://credobank.co/4eQzmDB>.

4.9. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

4.10. ბანკის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი; მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2 (თბილისის იუსტიციის სახლი). {SakreditoShuamavali}.

4.11. კლიენტი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ არ არღვევს/არ დაარღვევს საქართველოში მოქმედ და საერთაშორისოდ აღიარებულ გარემოსდაცით, შრომის და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის შესახებ კანონმდებლობას და ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში დანერგავს გარემოს, შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს. კლიენტის მიერ წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული გარანტიის დარღვევა წარმოადგენს ხელშეკრულების მნიშვნელოვან დარღვევას და ბანკი უფლებამოსილი იქნება ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც ვადამოსულის, ისე ვადამოუსვლელის) დაუყოვნებლივ შესრულება.

4.12. თუ კლიენტს ბანკის წინაშე გააჩნია ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება, მათი დაფარვის რიგითობის არჩევა შესაძლებელი იქნება ბანკის სერვის-ცენტრში, სამუშაო დღის 16:00 საათამდე.

4.13. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს 4.12 მუხლით განსაზღვრული უფლებით და კლიენტს გააჩნია რამდენიმე სახის ვადამოსული დავალიანება ბანკის წინაშე, როგორც უშუალოდ ხელშეკრულებიდან, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების რიგითობას ცალმხრივად განსაზღვრავს ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია ერთზე მეტი მიმდინარე ვადამოსული/ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში: ა) თუ კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხა არ იქნება საკმარისი ყველა ვალდებულების დასაფარად, პირველ რიგში დაფაროს ვადამოსული მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ განვადების ლიმიტის რეკომენდირებული გადასახადი. ბ) თუ კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხა არ იქნება საკმარისი განვადების ლიმიტის რეკომენდირებული გადასახადის დასაფარად არაუმეტეს 3 (სამი) ლარისა, კლიენტს არ დაერიცხება ჯარიმა და არ მოხდება ავტომატურად გრაფიკის მინიმალურ გადასახადზე გადასვლა, ამასთან, სრულად დაიფარება გრაფიკით დარიცხული საპროცენტო სარგებელი, ხოლო სხვაობას არაუმეტეს 3 (სამი) ლარისა კლიენტი გადაიხდის გრაფიკით გათვალისწინებულ მომდევნო გადასახადის ძირ თანხასთან ერთად.

4.14. კლიენტის მიერ გადახდილი ან/და მის ანგარიშზე არსებული თანხით, მათ შორის საბანკო კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ წინასწარ, ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში (მათ შორის კრედიტზე საშელავათო პერიოდში კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში), პირველ რიგში იფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული მომსახურების საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბოლოს გადასახდელი ძირი. ამასთან, კლიენტის ანგარიშზე საბანკო კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის განთავსებით, ავტომატურად არ მოხდება საბანკო კრედიტის წინსწრებით დაფარვა, თუ ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს ხელშეკრულება ან/და არ მოითხოვს კლიენტი.

4.15. კლიენტის მიერ პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია როგორც ბანკის სერვისცენტრებში, ისე ვებ-გვერდის <https://credobank.co/47W9kg0>, ბანკის ოფიციალური „ფეისბუქის“ გვერდის <https://www.facebook.com/CredoBank> ან/და

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

** შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

ბანკის სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით, ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. სტანდარტული წერილობითი პრეტენზიის ფორმა ხელმისაწვდომია **ბანკის** ნებისმიერ სერვის-ცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე: <https://credobank.co/3BDT1Z9>. პრეტენზიას განიხილავს **ბანკის** მომხმარებელთა პოზიტიური გამოცდილების მართვის დეპარტამენტი. **ბანკის** მიერ პრეტენზიის გახილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობისა და **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **კლიენტისათვის** პასუხის დაბრუნება მოხდება ნებისმიერი ფორმით პრეტენზიის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) თვის ვადაში, თუ კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო პრაქტიკით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება მოთხოვნილი ფორმის მეშვეობით: წერილობით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **ბანკის** ვებგვერდზე: <https://credobank.co/3BDT1Z9> და ტელეფონის ნომერზე: 032 2424242.

4.16. საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში წაჭრილი ნებისმიერი დავა, პირველ ეტაპზე წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ან/და თუ რომელიმე მხარე ჩათვლის, რომ მოლაპარაკების დაწყება იქნება უშედეგო, თითოეული მხარე უფლებამოსილია მოლაპარაკების გარეშე, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.